პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 სამშაბათი, 14 ნოემბერი, 1944 წ. № 229 (7182). ფასი 20 კაპ.

ახლა, როდესაც სამამულო ომი ძლევამოსილი დასასრულისაკენ მიდის, მთელი სიდიადით იჩენს თავს საბჭოთა ხალხის ისტორიული როლი. ახლა ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამრბევთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე.

ი. სტალინი

გადამწყვეტ გამარჯვებათა წელი

1944 წელს წითელმა არმიამ სახელი მოხვეჭა ისეთი გამარჯვებებით, რომლებიც უმაგალითოა გრანდიოზულობითა და სიდიადით, სტრატეგიული ჩანაფიქრის სიღრმითა და მკაცრი შესრულების ოსტატობით.

ომების ისტორიამ ბრწყინვალე ოპერაციათა ბევრი მაგალითი იცის, მაგრამ ჯერ არასოდეს არც ერთ არმიას თავისი დროშები არ შეემოსავს ისეთი გამარჯვებათა დიდებით, რომლებიც განუხრელად მიჰყვებიან ერთმანეთს იმ გიგანტურ ბრძოლაში, რომლის მსგავსი არ ყოფილა. არც ერთ ჯარს არ გაუვლია ესოდენ ტრიუმფალური გზა, მხოლოდ წითელ არმიას ხვდა წილად ისტორიული პატივი პირველად შეესრულებინა ასეთი სამხედრო გმირობა.

წითელი არმიის შეტევითი ოპერაციები გასულ წელს უმაგალითო სიერცის ასპარეზზე. გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად ამოძრავდა მთელი ფრონტი ყინულოვანი ოკეანიდან ბალკანეთამდე. დამსჯელი მახვილი დაეცა თავს მტრის მძლავრ თავდაცვითს ნაგებობებს. და, ნაწილ-ნაწილ დამსხვრეული, დაინგრა გერმანელ ფაშისტთა არმიის მთელი ფრონტი ევროპის აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში.

მეხი გავარდა იანვარში. საბჭოთა ჯარებმა განადგურეს გერმანელთა ხანგრძლივი თავდაცვა ლენინგრადთან და ნოვგოროდთან, უკუაგდეს ისინი ბალტიისპირეთში და გათავისუფლეს ლენინგრადის ოლქი. შემდეგი დარტყმა მიყენებულ იქნა ამ უბნიდან ასობით კილომეტრის დაშორებით—ბუგზე. წითელმა არმიამ განადგურა გერმანელთა ჯარები, დასტურდა გალმა გარეკა ისინი და გათავისუფლა მარჯვენა ნაპირის უკრაინა.

გერმანიის სარდლობა ამაოდ ცდილობდა მიმხედარიყო, თუ რომელ რაიონებში განსორკიელებდა წითელი არმია უახლოეს შეტევითს ოპერაციებს და მომზადებულიყო მათ მოსაგერიებლად. დარტყმა დარტყმას მოსდევდა სულ უფრო და უფრო მზარდი ძალით ხოწონაალმდეგისათვის ყველაზე მოულოდნელი მიმართულებებით. ყირიმი, კარელია, ვიტებსკი, ბობრუისკი, მოგილიოვი, ლვოვი, კიშინიოვი-იასი, ბალტიისპირეთი, კარპატები, ენგრეთი, ჩრდილოეთ ფინეთი...

გამანადგურებლად ატყდებოდა თავს ეს დარტყმები მტერს, აცამტვერებდა მის საინჟინრო ნაგებობებს, მუსრავდა და სპობდა გარნიზონთა პოლკებს, დიეზიიებსა და მთელ არმიებს. ამაოდ ცდილობდნენ გერმანელები გამაგრებულიყვნენ ზურგის თავდაცვითს ზოლებზე. შეეჩერებინათ შეტევის ნიაღვარი, ქსენრგში მოეყოლებათ დამარცხებული ნაწილები, შეენარჩუნებინათ ჯარების მართვა. საბჭოთა ჯარები "შეუკავებლად მიდიოდნენ დასავლეთისაკენ. სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ მტერს, მტაც�d აბეგვრნენ მას ფეხზე თავიანთ ნებისყოფას, დაუნდობლად ანადგურებდნენ. სპობდნენ მის ცოცხალ ძალასა და საჭურველს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები ყოველდღე იტყობინებოდნენ, რომ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან თავისუფლდებოდა ასობით და ათასობით დასახლებული პუნქტი. წითელი არმია ჩვენს ქვეყანას უბრუნებდა ოკუპირებულ რესპუბლიკათა დედაქალაქებს, საოლქო ცენტრებს, ქალაქებსა და სოფლებს, ტყეებსა და სახნავ მიწებს, მდინარეებსა და ბაზრებს. ფაშისტი ქვეწარმავალნი განდევნილ იქნენ კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის რაიონებიდან, ბელორუსიის ტერიტორიიდან, საბჭოთა უკრაინის, მოლდავეთის მიწა-წყლიდან, ბალტიისპირეთიდან. დასასრულ დადგა საბოლოო დღე, როცა ომის პირველ ორ წელში გერმანელების მიერ ოკუპირებული ადგილი ჩვენი მიწა-წყალი განთავისუფლებულ იქნა ჰიტლერული სიბილწისაგან.

წითელმა არმიამ შეტევა განავითარა, გადალახა დიდი საბჭოთა სახელმწიფოს საზღვარი. ჩვენი ძლევამოსილი ჯარები შევედნენ ბულგარეთის, ბულგარეთის, უნგრეთის და, ბოლოს, გერმანიის ტერიტორიაზე. რუმინელებმა, ბულგარელებმა და ფინელებმა, რომლებიც უფსკრულისპირას აღმოჩნდნენ, ზავი ითხოვეს და გერმანელებისაკენ მიბრუნეს თანიარაღი. ჩვენი არმია, რომელმაც დამარცხა ჰიტლერული ოკუპანტებისაგან მშობლიური მიწა-წყალი განთავისუფლა, ამჟამად ეხმარება პოლონეთის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხებს მოიშორონ ჰიტლერული მონობის უღელი. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა.

წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებანი მოპოვებულია სასტიკ სისხლისმღვრელ ბრძოლებში. ჩვენ საქმე გვქონდა გამოცდილ და ძლიერ მოწინააღმდეგესთან. გერმანიის სარდლობამ თავის თავზე გამოაცადა წითელი არმიის დარტყმათა სიმძლავრე. და დროთაგან და გულმოდგინედ ემზადებოდა დასაყრობილ ზეგდეთა დასაცავად. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ამა წლის ზაფხულში თავმოყრილი იყო გერმანელთა ორასამდე დივიზია. გერმანელებმა გამოიყენეს ადგილის ბუნებრივი პირობები და უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე ააგეს ხანგრძლივი თავდაცვა, რომელიც გამაგრებული ჰქონდათ თანამედროვე ფორტიფიკაციის მთელი მიღწევებით.

წინა ბრძოლების მწარე გამოცდილებით მოკავშირეები გერმანელები ფრონტს ხაზზე ძლიერი გამაგრებული ზოლების აგებას რიდან სჯერდებოდნენ; ისინი თავდაცვას აგებდნენ ფიდ სიღრმეზე, რაც ზოგჯერ ასი კილომეტრობით განიზომება. სიმაგრეებსა და ჯარებს განალაგებდნენ მთელ სივრცეზე, ისინი ამაგრებდნენ მდინარეების ნაპირებს, მთის ქედებს. სიმაგრეებად აქცევდნენ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს. აგებდნენ ურიცხვ ბეტონულ ზღუდეს. მაგრამ ჩვენი შეტევა ანადგურებდა და სპობდა მოწინააღმდეგის მთელ თავდაცვას და გერმანიის სამხედრო მანქანის შეაგუდს აღწევდა.

საბჭოთა მიწა-წყალი სამუდამოდ გაწმენდილია ჰიტლერული კაცუკამიერებისაგან. წითელ არმიის ნაწილები ახორციელებდნენ უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმებს, გარს ერტყმოდნენ და სპობდნენ ფაშისტთა დივიზიებს, კორპუსებსა და ჯგუფებს. ვიტებსკის, ბობრუისკის, მინსკის, ბრიდის, კიშინიოვის რაიონში გერმანელთა ჯარების გარშემორტყმის ბრწყინვალე ოპერაციები სამუდამოდ შეეტანებოდა ბატიანურში, როგორც ოპერატიული ხელოვნების, მხედრული ოსტატობის კლასიკური ნიმუშები, მარტო ამ რაიონებში გაყლეტილ იქნა ათობით ფაშისტთა დივიზია. 30-ზე მეტ დივიზიას წითელი არმია საბოლოოდ ანადგურებს ბალტიისპირეთში!

1944 წელს გერმანელებმა კატასტროფული დამარცხებანი განიცადეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. წითელი არმიის შეტევითი ოპერაციების შედეგად საბოლოოდ დაიშალა ფაშისტური ბლიცი და ჰიტლერული გერმანია გარდუვალი სრული განადგურების პირდაპირი საფრთხის წინაშე დგას. ასეთი ამოცანის შესრულება შეეძლო მხოლოდ წითელ არმიას — ყველაზე მძლავრ და გამოწრთობილ თანამედროვე არმიას.

თავის 1944 წლის 7 ნოემბრის ბრძანებაში უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი სტალინი აღნიშნავს: „გასული წლის ზამთრისა და ზაფხულის ბრძოლებში წითელმა არმიამ დაგვანახვა გაზრდილი სამხედრო ოსტატობა. წითელი არმიის მეომრები მარჯვედ ამსხვრევდნენ მოწინააღმდეგის გამაგრებულ ზოლებს, სწრაფად სდევნიდნენ, გარს ერტყმოდნენ და სპობდნენ მტერს. შეტევითის ბრძოლებში გამომჟღავნდა ყველა გვარეობის საბჭოთა ჯარების ზუსტი თანამოქმედება, მანევრის მაღალი ხელოვნება. საბჭოთა მეომრები გამოიბრძმედნენ ბრძოლებში, ისწავლეს მტრის განადგურება და დამარცხება. წითელი არმია მრისხანე ძალა გახდა და სჯობნის მტერს თავისი სამხედრო უნარითა და საბრძოლო ტექნიკით".

გასული წლის ყველა ოპერაციას აზის სტალინური მხედართმთავრული ხელოვნების ბეჭედი. ყველა ეს ოპერაცია გაერთიანებულია უმაღლესი მთავარსარდლობის ერთიანი სტრატეგიული გეგმით. გამანადგურებელი დარტყმების სერიაში, რომლებიც მტერს თავს დაატყდა, თანდათანობით ხორციელდებოდა უმაღლესი მთავარსარდლობის ეორმესი ხატეგიული შთანაფიქრი. ყოველ ოპერაციას თავისი ადგილი ეკავა სხვა ოპერაციათა წყებაში. ამავე დროს ყოველი ეს ოპერაცია იყო ლომოოკიდებელი, ორიგინალური, რომელიც შემოქმედებითი გენიის ბეჭედს ატარებდა.

სამხედრო ხელოვნება ბრძოლის მოგების უმნიშვნელოვანეს პირობად სთვლის მთავარი ღარტყმის რაიონის სწორ შერჩევას. ჯერ კიდევ 1920 წელს ამხანაგი სტალინი სწერდა: „...წარმატება, გადამწყვეტი გამარჯვება ხშირად დამოკიდებულია დარტყმის რაიონის მარჯვე შერჩევაზე, იმ რაიონის მარჯვე შერჩევაზე. საიდანაც განზრახულია გაქცევ მოწინააღმდეგის მიაყენოთ მთავარი დარტყმა და შემდგომ განაეთიანოთ �ი". ყველა დროის ფდიდესი მხედართმთავრები ამ ამოცანას უძნელესად სთვლიდნენ. იგი ბრწყინვალედ არის გადაწყვეტილი წითელი არმიის ოპერაციებში. ამა წლის ზამთრისა და ზაფხულის კამპანიების განმავლობაში.

გარეშეთის უბნებზე თარგრად იკრიბებოდნენ ჯარბი ძალები. ქვეშეხეების, ტანკების, თვითმფრინავების. მანქანებია ფდიდესი რაოდენობა. ეს ზამთრებდა არმიის მასაზრდოებელი მთელი რთული ორგანიზმის ბარიალქნა ბოოიქრებული ოპერაციის სამსახურისათვის. მძლავრი რეზერვები ზურგს უმაგრებდნენ შემტევთა პირველ ეშელონებს. ამის შედეგად, საქმე როდი მთავრდებოდა ფრონტის გარღვევით, არამედ ყოველთვის მიჰყავდათ ადამწყვიტ შეიარაღებამდი. მტრის დაჯგუფებათა სრულ განადგურებამდი.

გამარჯვების სამსახურისათვის იკრიბებოდა მთელი ძალები და საშუალებანი. ყველა გვარეობის ჯარების გულმოდგინედ დაგეგმული და ამავე დროს მოქნილი თანამოქმედება დამახასიათებელია წითელი არმიის ყოველი ოპერაციისათვის. ამა თუ იმ იარაღის ყველა ძალიერი მხარე გამოყენებული იყო უდიდეს ეფექტიანობით და ბოლომდე. დიდებული სიმამაცე, რომელიც საბჭოთა ჯარების შეტევითს ბრძოლებს ახასიათებს, გაბედული მანევრი მომავალ ოპერაციების სწორად ამ ყოველმხრივი მომზადებითა და უზრუნველყოფით აიხსნება. ყოველივე ამას ერთვოდა საბჭოთა მეომრების გაწრთვნილობა და სიმამაცე.

წითელი არმიის და ინგლის-ამერიკის ჯარების ერთობლივი დარტყმები აახლოებენ ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურების ჟამს. **„ფაშისტი მხეცის ბუნაგი გარშემორტყმულია ყოველი მხრიდან და მტრის ვერავითარი ფანდი ვერ იხსნის მას უცილობელი სრული განადგურებისაგან"** (ი. სტალინი). საბჭოთა ჯარები ოკეან შევიდნენ გერმანიის მიწა-წყალზე და ემუქრებიან გერმანიას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, მოკავშირეთა ჯარები წინ მიიწევენ დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან. ჰიტლერული გერმანია ეროსა და გრდემლს შუა იმყოფება. ზაფხულს შეტევის განმავლობაში წითელმა არმიამ ბრძოლებით გაიარა 550-დან 900 და მეტი კილომეტრი. ამჟამად ჩვენი მოწინავე ნაწილები ბერლინიდან 550 კილომეტრზე იმყოფებიან.

„ახლა წითელ არმიას რჩება თავისი უკანასკნელი, საბოლოო მისია: ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე, მოსპოს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა აფირიალოს ბერლინში,—სთქვა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 6 ნოემბერს დიდმა **სტალინმა.** — **საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ამოცანას წითელი არმია ახლო მომავალში შეასრულებს".**

სისხლიანი ჰიტლერული რეჟიმის დღეები დათვლილია. წითელმა არმიამ და ჩვენი მოკავშირეების არმიებმა საწყისი პოზიციები დაიკავეს ფაშისტური გერმანიის სასიცოცხლო ცენტრების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის. ვერაფერი ვერ იხსნის ჰიტლერელ ავანტიურისტებს სამართლიანობის სამსჯავროსაგან, ისტორიის მიერ დასჯისაგან. გმირი წითელი არმიის ჯარები მზად არიან უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ჩვენი სამართლიანი საქმის გასამარჯვებლად. გენიალური მხედართმთავრის დიდი სტალინის წინამძღოლობით ძლევამოსილი საბჭოთა დივიზიები, ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად, საბოლოოდ გაანადგურებენ ფაშისტ მხეცს და გამარჯვების დროშას აფრიალებენ ბერლინში.

„პრავდის" 13 ნოემბრის მოწინავე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

12 ნოემბერს უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური მეზეკეზეშდი, ქალაქი და რკინიგზის სადგური მონორი, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები დიერდი, იანოშხიდა, ალატინი, ტაპიოდი ერდიე, ტაპიოსელეს, რეკეტეში, ფარმოშში, შერეში და რკინიგზის სადგურები კიშმედი-რი, ტაპიოსელე, ფარმოში, ბოლდოგხაზა.

იუგოსლავიის ტერიტორიაზე გერმანელთა წინააღმდეგ მოქმედმა ბულგარელთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი კუმანოვო.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

11 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დაუზიანეს და მოსპეს გერმანელთა 15 ტანკი.

13 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

13 ნოემბრის განმავლობაში უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა-ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური იასაპატი, აგრეთვე დაიკავეს რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის იასკიშერი, იასმახალტილეკი, ტაპიოსენტმარტონი, ტაპიოგბიჩკე, პანდი, კაბა, ჟიზერი, ბენეი და კუსტა კიურტის, იასკიშერის რკინიგზის სადგურები.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

12 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დაუზიანეს და მოსპეს გერმანელთა 24 ტანკი.

* * *

უნგრეთში ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ქალაქ სოლნოკის ჩრდილოეთით საბჭოთა ქვეითებმა და კავალერისტებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი პუნქტი და რკინიგზის სადგური იასკიშერი. შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა მტრისათვის მოულოდნელი მანევრი მოახდინეს და ქალაქ იასაპატში შეიჭრნენ. ქუჩებში გამართული ბრძოლის შედეგად ქალაქის გერმანელ-უნგრელთა გარნიზონი განადგურებულ იქნა დ უწესრიგოდ დაიხია უკან. ხელთ ვიგდეთ დაელა, მათ შორის 17 ქვემეხი, 16 ნაღმსატყორცნი. 40 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალის საწყობი.

ქალაქ ცეგლედის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და 10-მდე კილომეტრით წაიწიეს წინ. დღის განმავლობაში ჰიტლერელები რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრერიშზე, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. გაფლეთილია 1.200-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვეებმა გვაცნობეს, რომ უნგრელთა 20-ე ქვეითი დივიზია, რომლის ამოცანა იყო შეეჩერებინა საბჭოთა ჯარების შეტევა ამ უბანზე, დამარცხებულია. ამ დივიზიის ნაშთები ეთა ბატალიონად ჩამოაყალიბეს.

დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა სხვადასხვა უბანზე ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენი ჯარები ცეცხლითს ბრძოლას იწყოდნენ მოწინააღმდეგესთან. ერთ უბანზე მტრის ტყიანმფრქვევიები განუწყვეტლივ უშენდნენ საბჭოთა პოზიციებს. ოფოს სერეანტ ომოროვის საქმეზეო გუნდმა სროლა გააჩაღა და ცეცხლი წაუკიდა ფარდულს, სადაც ჰიტლერელები იმალებოდნენ გაისმა რამდენიმე ძლიერი აფეთქების ხმა ცეცხლი მოედო მაჩხლობოდ მდებარე სხვა ნაგებობებსაც. აქიდან გამოცვივნეულ გერმანელებს მსხვრევადი ყუმბარებიც დაეშენით. მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილი მოსპობილ იქნა.

ნ ნაწილის სნაიპერებმა გვარდიის ეფრეიტორმა პოლოშჩუკმა, გვარდიის სერეანტმა პოპოვამ და წითელარმიელმა მოროზმა ოთხ დღეში 13 ჰიტლერელი დახოცეს.

* * *

ქალაქ უჟგოროდის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელთა რაზმი ცდილობდა ჩვენი ჯარების გალოგებაში შემოეწია. მიუხედავად სქელი ნისლისა, საბჭოთა მებრძოლებმა დროზე შეამჩნიეს ჰიტლერელები და უკანდასახევი გზა მოუჭრეს. გერმანელთა რაზმი მთლად გაჟლეტილია. სხვა უბანზე მზვერავთა ჯგუფი ზამდეგ რაკეტინის მეთაურობით ლამით მოწინააღმდეგის პოზიციებს მიეპარა. მზვერავები მტრის ბლინდაჟში შეიჭრნენ და 10 გერმანელი დახოცეს ჩვენმა მზვერავებმა ტყვედ წამოიყვანეს ორი ჰიტლერელი და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ერთ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ბრძოლით დაზვერვა მოაწყეს. მტერმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაგვიწია და კონტრიერიშზე გადმოვიდა. გაბჩაღდა გაჯფთრებული შეტაკება. საბჭოთა მებრძოლებმა მოწინააღმდეგე უკუაქციეს და ამასთან 150-მდე გერმანელი ჯარისკაცი. და ოფიცერი მოსპეს. წამოიღეს: დაელა.

* * *

ჩვენმა ხომალდებმა ბალტიის ზღვაში გერმანელთა ორი ტრანსპორტი ჩასძირეს.

* * *

უნგრეთში, ფრონტის ერთ უბანზე, ტყვედ დაგვნებდა უნგრელთა მე-5 სათადარიგო დივიზიის მე-20 პოლკის 200 ჯარისკაცი ლეიტენანტ ოლაიოშის მეთაურობით. ტყვე ლეიტენანტმა ოლაიოშმა გვიამბო: „უკანასკნელ ბრძოლებში ჩვენი პოლკი სასტიკად დამარცხდა. განსაკუთრებით მძიმე ზარალი მოუვიდათ მე-2 ბატალიონის ქვეგანაყოფებს. რუსები ყოველი მხრით შემოგვერტყნენ. ბატალიონის მეთაური — მაიორი მოლარი გაბარი სადღაც გაქრა. ჯარისკაცთა შორის პანიკა დაიწყო. ისინი იარაღს ჰყრიდნენ და აქეთ-იქით გარბოდნენ. მე მივხვდი, რომ მდგომარეობა ეიმედო იყო და ყველა ქვეგანაყოფის ჯარისკაცებს ვუბრძანე, იარაღი დაჰყარეთ-მეთქი. 200 კაცი შეგროვდა. ჩვენ ხელები ავწიეთ და რუსების შესახვედრად წამოვედით".

ფრონტის სხვა უბანზე წითელ არმიის მხარეზე მთელი შემადგენლობით გადმოვიდა 201-ე ცალკე ბატალიონი, რომელიც უნგრეთის 23-ე დივიზიაზე იყო მიწერილი. სულ ტყვედ დაგვნებდა 520 ჯარისკაცი და ოფიცერი. ბატალიონის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა გუსტავ სენტკირაიმ განაცხადა: „მე ვიყავი უნგრეთის გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის გენერალ-მაიორ ლაიოშ ბელდის ადიუტანტი. ამას წინათ გერმანელებმა გენერალი ბელდი დაატყვევეს. მე ფრონტზე გამგზავნეს და 27 ოქტომბერს ბატალიონის მეთაურად დამნიშნეს. უფრო ადრე მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ რუსების ჯარისკაცები შიმდგომი წინააღმდეგობის გაწევა უმიზნო და უაზრო. რაკი არ მეურდა ჩემი ჯარისკაცების სიცოცხლე გერმანელთა ინტერესებისათვის შემეწირა მსხვერპლად, ბატალიონს წინადადება მივეცი, ტყვედ დავნებდეთ-მეთქი. ჩემი გადაწყვეტილება ყველა ოფიცერმა მოიწონა. ჯარისკაცებზე ლაპარაკიც კი საჭირო არ არის. ისინი ძალიან მოხარული იყვნენ და ხალისით დაჰყარეს იარაღი".

ბრძანებაღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქებში სვერდლოვსკსა, გორკსა, მოლოტოვსა და ტულაში „არტილერიის დღის" აღნიშვნის წესის დადგენის შესახებ

ქალაქების სვერდლოვსკისა, გორკისა, მოლოტოვისა და ტულის მშრომელთა მრავალრიცხოვან თხოვნასა და სურვილთან დაკავშირებით, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა რა ამ ქალაქების დიდმნიშვნელოვანი როლი არტილერიის განვითარებაში, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებულების დამატებად დაწესდეს ყოველწლიური სალუტი —19 ნოემბერს „არტილერიის დღეს" სვერდლოვსკსა, გორკსა, მოლოტოვსა და ტულაში ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 13 ნოემბერი.

უკანასკნელი ცნობები

ხმები კიჟღერის ავადმყოფობის შესახებ

სტოკჰოლმი, 13 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „იფტონბლადეტი" სწერს: „საქმეზეგაცნობილი წრეები იუწყებიან, რომ ჰიტლერს დაეცა დამბლა, რომელმაც შეუზღუდა ლაპარაკის უნარი და წაართვა სხეულის მარჯვენა მხარე. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გერმანიის მისიებს საზღვარგარეთ უბრძანა შეკითხვების შემთხვევაში უპასუხეთ, ჰიტლერის ჯანმრთელობა სავსებით ნორმალურიაო".

კიჟღერელი ვიროგაგეები გაკბიან გერმანიის ხომალდიდან. რომელიც იძირება

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ „ეურ ლა ვიქტორაში" მოთავსებულია ტაბუის სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ ანეკამად ბევრი ჰიტლერელი ხელმძღვანელი, რომელთაც ესმით გერმანიის დამარცხების გარდუვალობა, ემზადება ნეიტრალურ ქვეყნებში გასაქცევად დიდი სახსრებიანად. ტაბუის სიტყვით, ერთერთი ცენტრი, რომელიც ჰიტლერელების გაქცევას აწყობს, იმყოფება დრეზდენს ვინმე მარტინ ჰამიჩს ვილაში. ტაბუი შემდეგ სწერს, რომ ჰამიჩს ყოველდღიური კავშირი აქვს გერმანიის წყალქვეშა ნავების მეთაურებთან, რომლებიც ეხმარებიან თვალსაჩინო ჰიტლერელებს საზღვარგარეთ გაქცევაში. იმ პირთა შორის, რომლებიც გასაქცევად ემზადებიან, ტაბუი ასახელებს „გეულიატერ" ჰენლაინს, „ბოჰემიის" და მორავიის პროტექტორატის" სტატს-მდივან ფრანკს, დოქტორ კრიგს და ბევრ სხვას. ტაბუი აღნიშნავს, რომ ამ პირებმა ნეიტრალურ ქვეყნებში გადაგზავნეს მრავალი მილიონი მარკა, ავრეთვე დიდძალი ძვირფასეულობა. ზოგიერთი ჰიტლერელი ყალბ დოკუმენტებს იძენს შვეიცარიაში წასასვლელად.

შვეიცის პროტესტი გერმანიისადმი

სტოკჰოლმი, 11 ნოემბერი. (საკდესი). გერმანიამ აცნობა შვეიცის მთავრობას, რომ მთელი ბალტიის ზღვა საომარი მოქმედების ზონად ცხადდება. გერმანელები მოითხოვენ მთელი ნაოსნობის შეწყვეტას, მათ შორის თვვზსაქერისაც, შვეიცის ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ.

ლონდონი, 12 ნოემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო სტოკჰოლმიდან გადმოგვცემს: „დღეს შვეიცამ უარჰყო გერმანიის განცხადება იმის შესახებ, რომ ბალტიის ზღვა საომარი მოქმედების ზონას წარმოადგენს და რომ ამ ზონაში შეხვედრილ ყველა გემს დაუყოვნებლივი დაშენა საფრთხე მოელის. შვეიცის ოფიციალურ ნოტაში, რომელიც გერმანიის საელჩოს გადაეცა სტოკჰოლმში, ნათქვამია, რომ შვეიცის მთავრობა გერმანიის მთავრობას სთვლის „სრულ პასუხისმგებლად" შვეიცის გემებზე რაიმე თავდასხმის შედეგებისათვის".

დიდი სტალინის მოხსენების პასუხად

შრომითი აღმავლობა დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში

თბილისის საწარმოებში უმაგალითო შრომითი აღმავლობაა. ომის დროის სტახანოველები გადაჭარბებით ასრულებენ დიდ ბელადის მოხსენების პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს და კონკრეტული საქმეებით ცხადჰყოფენ თავიანთ უანგარო სიყვარულს სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივი დღითიდღე მზარდი აქტივობით მუშაობს. საქვაბე საამქროში პარტიის წევრები პირადი მაგალითით რაზმავენ საამქროს კოლექტივს პატივნაზე ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ დღეებში კომუნისტი ამხ. ე. სუხარევი დავალებას 310-320 პროცენტით ასრულებს, ზეინკალი ამხ. ვ. მელიქოვი გეგმას 228 პროცენტს იძლევა, ხოლო ზეინკალი ამხ. შავერდ ზვილი ზედიზედ თითქმის სამ ნორმას აკეთებს. მექანიკურ საამქროში კომუნისტმა ხარაგა ამხ. ა. მარგველაშვილმა ორთქლმავლების დეტალების დამზადებაზე 9 ნოემბერს დავალებულ 283 პროცენტით შეასრულა, ხოლო 10 ნოემბერს — 300 პროცენტით და ასეთივე ნაყოფიერებით იმუშავა 11 და 13 ნოემბერს. მზარდი აქტივობით მუშაობდა კომუნისტი ხარატი ამხ. ნ. ჩოჩელი, რომელიც ნორმებს მუდამ 275-290 პროცენტით ასრულებს. დაძაბული მუშაობაა სამწყობო საამქროშიც, აქ თავდადებული შრომის მაგალითს იძლევა ამხ. შ. ნადირაძე, რომელიც ეს მეოთხე დღეა ორთქლმავლის ცილინდრების შედუღებაზე დავალებას 450 პროცენტით ასრულებს, ზეინკალი შ. შენგელია ამ დღეებში ორასოთვანი გახდა. თავდადებით მუშაობენ მუშაობენ მჭედლებიც. მჭედელმა ამხ. ვ. ხარჩილავამ ეროსმცემელ ამხ. ბახტაძესთან ერთად 10 ნოემბერს ორთქლმავლის დეტალების დამზადებზე ოთხი ნორმა გამოიმუშავა. მჭედელი ამხ. გ. არუსტანოვი უკანასკნელ დღეებში დავალებას სისტემატურად 430 პროცენტით ასრულებს.

26 კომისრის სახელობის ქარხანაში ბელადის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისათვის წარმატებით იბრძვიან. შემკეთებელი საამქროს ოსტატის ამხ. ს. ჭოხონელიძის ბრიგადა უკვე შეუდგა ნაკისრი ვალდებულების შესრულებას — უნივერსალური დაზის დამზადებას. ბრიგადის წევრები ყოველდღე ორ ნორმას იძლევიან. ხარატი ამხ. ი. არეხტიაკი, რომელმაც იკისრა ნორმების გეგმის 115 პროცენტით შესრულება, უკანასკნელ დღეებში სისტემატურად იძლევა ერთნახევარ ნორმას. ასევე თავდადებით მუშაობენ ზეინკალ ამხ. ტოკაშვილის ბრიგადის წევრები, რომლებმაც ნოემბერის დავალების ოთხი დღით ადრე შესრულება იკისრეს.

პირველ სამკერვალო ფაბრიკაში განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობენ: პირველი საამქრო (უფროსი ამხ. ო. ვაშაკიძე), მეოთხე საამქრო (უფროსი ამხ. ო. პატოჩიანი) და მეხუთე საამქრო (უფროსი ამხ. ე. კაზარიანი), რომლებიც ამ დღეებში დავალებებს 120-240 პროცენტით ასრულებენ. თითქმის ყველა მუშა გადაჭარბებით ასრულებს მიტინგზე ნაკისრ ვალდებულებებს. მკერავი ამხ. თ. ხეჩიკაშვილი, რომელმაც იკისრა ორნახევარი ნორმის გამომუშავება, სისტემატურად ოთხ ნორმას აჭარბებს. მკერავი ამხ. ვ. გეგეჭკორი ორი ნორმის მაგივრად ორნახევარ ნორმას იძლევა, მკერავი ამხ. ე. რევაზიშვილი, რომელმაც გეგმის 130 პროცენტით შესრულება იკისრა, დავალებას სისტემატურად 275 პროცენტით ასრულებს, მკერავმა ამხ. ე. ჩიხლაძემ ორჯერ გადააჭარბა ნაკისრ ვალდებულებას და მუდამ სამ ნორმას იძლევა. ასევე წარმატებით მუშაობენ მკერავები: ე. ფარჯანაძე, გ. ხუციშვილი, მ. ბალარეკიშვილი, გ. ოგანოვი, რომლებიც გეგმებს სისტემატურად 250-315 პროცენტით ასრულებენ. მკერავებს არც გამომჭრელები ჩამორჩენენ. გამომჭრელები ამხ. ა. მაჩიერი და ა. ახალეტელოვი, რომლებმაც ბელადის მოხსენებისადმი მიძღვნილ მიტინგზე 4 ნორმის გამომუშავება იკისრეს, ამ დღეებში ხუთასოვანთა

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში

საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის ორთვიურის მიმდინარეობის შესახებ

საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის ორთვიურის განმავლობაში მნიშვნელოვანი მუშაობა გაწეულ იქნა თბილისის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა. რემონტი გაუკეთდა მრავალ საცხოვრებელ სახლს. მიუხედავად ამისა, ქალაქის ზოგიერთ რაიონში ორთვიურის მიმდინარეობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

სტალინის რაიონში 5 ნოემბრისათვის ორთვიურის გეგმით გათვალისწინებული 268 სახლიდან რემონტი გაუკეთდა 159 სახლს, 47 სახლში კი დღემდე მუშაობაც არ დაწყებულა. 26 კომისრის რაიონში 156 საცხოვრებელი ობიექტიდან მუშაობა დამთავრებულია მხოლოდ 81 ობიექტზე, მუშაობა არ დაწყებულა 7 ობიექტზე. ამავე რაიონებში მობინადრეები საკმაო რაოდენობით არ არიან ჩაბმული ორთვიურში. 26 კომისრის რაიონში ორთვიურის განმავლობაში შეკეთებულ 50 სახლში მცხოვრები 994 მობინადრიდან მონაწილეობა მიიღო 285 კაცმა. სტალინის რაიონში 34 სახლში მცხოვრები 1.237 კაციდან სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობდა მხოლოდ 354 მობინადრე. საკმაოდ არ არის გამოყენებული კვალიფიციური მუშახელი. ზოგან არ სრულდება სადეფექტო აქტებით გათვალისწინებული სამუშაოები, ობიექტებზე მუშაობას კი დამთავრებულად სთვლიან.

ზოგიერთი სახლთმმართველი და მიმაგრებული ამხანაგი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, რის გამო სახლთმმართველობათა ერთი ნაწილი ჩამორჩება ორთვიურის სამუშაოებში. საჭირო ტექნიკური ხელმძღვანელობის უქონლობის გამო ზოგიერთ სახლში რემონტი დაბალი ხარისხისაა. სტალინისა და 26 კომისრის რაიონებში დღემდე არ არის შექმნილი რკინის სახურავების დაკერებითი რემონტის მწარმოებელი ბრიგადები.

ამ დღეებში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა განიხილა პარტიის სტალინისა და 26 კომისრის რაიკომების მდივნების ამხ. ლოლაძისა და ამხ. გაბუნიას ანგარიში საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის ორთვიურის მიმდინარეობის შესახებ და დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინისა და 26 კომისრის რაიკომების მდივნებმა და რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა თავმჯდომარეობა საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის სამუშაოები უნდა დაიჩქარონ ისე, რომ ყველა გათვალისწინებულ ობიექტზე მუშაობა დამთავრდეს 1 დეკემბრისათვის, გაძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა სამუშაოების წარმოებაზე, უზრუნველჰყონ ყველა სახის სამუშაოს შესრულება სადეფექტო აქტების შესაბამისად.

5 დღის განმავლობაში მობინადრეთაგან უნდა მოეწყოს რკინის სახურავების დაკერებითი რემონტის მწარმოებელი ბრიგადები. ქალაქის საბინაო სამმართველოს უფროსმა უნდა უზრუნველჰყოს ამ ბრიგადებისათვის საჭირო ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათთვის სისტემატური კონსულტაციის გაწევა.

პარტიის რაიკომების მდივნებმა და რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა კომუნალური და საუწყებო სახლებიდან 1 დეკემბრამდე უნდა შეარჩიონ ობიექტები, რომლებსაც გადაუდებელი მიმდინარე რემონტი ესაჭიროებათ, შეადგინონ სამუშაოთა გეგმები და უზრუნველჰყონ მათი შესრულება.

ქალაქის საბინაო სამმართველოს უფროსმა და მთავარმა ინჟინერმა უშუალოდ უნდა მოჰკიდონ ხელი მიმდინარე რემონტის საქმეს, დაეხმარონ რაიონულ საბინაო სამმართველობებს სამუშაოთა სწორ ორგანიზაციისა და გათვალისწინებულ ობიექტებზე რემონტის დროზე დამთავრებაში.

ორთვიურის ვადა გაგრძელებულია 1945 წლის 1 იანვრამდე.

ორდენ „გმირი დედით“ დაჯილდოებული ბარბალე ბახტაძე (ცენტრში) და მისი შვიდი ვაჟი, რომლებიც ახლა ფრონტზე იმყოფებიან: ვლადიმერ და ალექსანდრე (მარცხნივ), ბიორგი და მიხეილი (მარჯვნივ), ნიკოლოზ, ვიქტორ და სევერიანე (ქვემოთ).

გმირი დედა

შვიდი ერთი მეორეზე უკეთესი ვაჟაცი და ხუთი ქალიშვილი აღუზარდა მან სამშობლოს. და აი მძიმე განსაცდელის დღეებში, როცა ჩვენს ქვეყანას გერმანელ ფაშისტთა ურდოები ავიწაჯურად დაესხნენ თავს, ქართველმა დედამ ბარბალე ბახტაძემ სიამაყის გრძნობით გაისტუმრა ფრონტზე თავისი შვიდივე ვაჟი და გზა დაულოცა მათ.

— გული მიდუღდა, ცრემლებს ძლივს ვიკავებდი, როცა სახლში მარტოკა, ჩემი ქალიშვილების „მარა დავრჩი...—ამბობს ბარბალე, —მაგრამ იმის ფიქრი, რომ ჩემი შვიდი ვაჟი სამშობლოს გამოადგებოდა, სიამაყის გრძნობას მგვრიდა. თვალწინ მედგა ქართველი დედების სახე, იმ დედებისა, რომელნიც გმირ შვილებს უზრდიდნენ საქართველოს. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ვაჟები დღეს სამშობლოს დასაცავად იბრძვიან ფრონტზე.

ბარბალემ თავისი ვაჟების სურათები ამოიღო და მათი ამბის მოყოლა დაიწყო.

უფროსმა ვაჟმა, გიორგიმ, დაამთავრა სამშენებლო ინსტიტუტი თბილისში. მუშაობდა მშენებლობაზე 1941 წლის სექტემბერში იგი გაიწვიეს წითელ არმიაში. 1942 წელს გიორგი მამაცურად იბრძოდა ქალაქ ნალჩიკთან, იცავდა მშობლიურ კავკასიას. ამჟამად იგი კვლავ ფრონტზეა.

მეორე ვაჟი, ვლადიმერი, 34 წლისა. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა ლენინგრადში, ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. შემდეგ მუშაობდა თბილისში ფეხსაცმლის ფაბრიკაში მთავარ მექანიკოსად. სამამულო ომის დაწყებისა წინ იგი წითელ არმიაში გაიწვიეს. ვლადიმერიც თავდადებით იცავდა კავკასიას გერმანელი დამპყრობლებისაგან.

სამამულო ომის ფრონტზე ასევე მამაცურად და გულადად იბრძოდა ბარბალეს მესამე ვაჟი ალექსანდრეც. საშუალო სასწავლებლის დამთავრებისა შემდეგ ერთხანს იგი მუშაობდა თბილისის საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის კანცელარიაში, ხოლო შემდეგ თბილისის ოპერის თეატრში მექანიკოსად. 1941 წლის 23 აგვისს იგი გაიწვიეს წითელ არმიაში. იბრძოდა ყირიმში, სადაც მძიმედ დაიჭრა და ამჟამად მკურნალობს.

მეოთხე ვაჟი, მიხეილი, ომამდე მუშაობდა მრრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში ტექნიკოსად. 1941 წლის ივლისში გაიწვიეს წითელ არმიაში. იბრძოდა ფრონტზე. ამჟამად იმყოფება ქალაქ ულიანოვსკში სამხედრო სასწავლებელში.

მეხუთე ვაჟი, ნიკოლოზი, დაამთავრა თბილისში საშუალო სასწავლებელი და შემდეგ შოფერთა კურსები მუშაობდა თბილისში მშენებლობაზე. 1941 წელს კიდევ გაიწვიეს წითელ არმიაში. იგი გერმანელ დამპყრობთაგან ქალაქ როსტოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილეა.

ვიქტორი, ბარბალეს მეექვსე ვაჟი, 1938 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. სამამულო ომის დაწყებიდან იგი ვოიკაცურად იბრძოდა ლენინგრადის ფრონტზე და თავისი წვლილი შეიტანა ბრძოლებიანად ლენინგრადის განთავისუფლების საქმეში.

მეშვიდე ვაჟი, სევერიანე, 19 წლის ჭაბუკი, 1942 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. იგი კავკასიის დაცვის მონაწილეა. მამაცურად ებრძოდა გერმანელებს ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ კრასნოდარში. მონაწილეობას იღებდა ქალაქ ნოკოროსიისკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. მამაცობის გამოჩენისათვის წყრდგენილია ჯილდოზე.

თავისი ვაჟების მამაცობით აღფრთოვანებული ბარბალე დედობრივი სიყვარულის გრძნობით იგონებს მათს ბავშვობას, ყოველივე წვრილმანს მათი ცხოვრებიდან.

— ენაცვალოს დედა მათ! რამდენი გაჭირვება გამომვლია, რამდენ შრომა და რამდენი უძილო ღამე გამიტარებია მათთვის... — და ბარბალეს მეხსიერებაში წარმოუდგა მისი ვაჟკაცების წარსული.

უფროსი ვაჟი, გიორგი, ექვსი წლისა იქნებოდა, როცა ერთხელ მძიმედ გახდა ავად. ფილტვების ანთება ჰქონდა. ბავშვი სიცხისაგან იწვოდა, მორჩენის იმედი აღარ იყო. მაგრამ დედის დაუღალავმა მზრუნველობამ იგი აიკვდილს გამოგლიჯა ხელიდან.

კოლია 14 წლისა იყო, როცა მას საშინელი სენი—შაკი აყვანილი. შეეყარა ბავშვი მთლად გასივდა, სხეული უჩირქდებოდა. ბარბალეს მთელი ორი კვირის განმავლობაში თვალი არ დაუხუჭავს. ავადმყოფ შვილს დღედაღამ თავზე ადგა, უვლდა, ეალერსებოდა და კარგი მოვლის შედეგად თავისი საყვარელი ბიჭუნა სავსებით გამოაჯანმრთელა.

რამდენი ასეთი მძიმე წუთები ახსოვს მას თავისი შვილების აღზრდაში! განა ადვილი იყო 12 შვილის აღზრდა?

შვიდი ვაჟის გარდა ბარბალემ აღზარდა კიდევ ხუთი ქალიშვილი. მათში ყველაზე უფროსი თამარია, შემდეგ ნინო, ვერა, ბარბალე და ნადეჟდა.

თამარი მუშაობს საგანმანათლებლო ფაბრიკაში. იგი ზურგში დაუღალავი შრომით იხმარება თავის ფრონტელ ძმებსა და წითელ არმიას მტერზე გამარჯვების საქმეში. ნინო მუშაობდა ექიმის თანაშემწედ ჰოსპიტალში, ვერა მუშაობს პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში მკინძავად, ნადეჟდა და ვერიჩკა მე-5 ქალთა სკოლაში სწავლობენ.

ბარბალე გამოჯეკ, შრომისმოყვარე დიასახლისია. 58 წლის დედა ისევ მხნეა და ენერგიით აღსავსე. მთელი მის არსებაში მისი ფიქრები და აზრები მის თორმეტ შვილს ეკუთვნიან. 1907 წელს, იგი გათხოვდა მიწისმზომელ ისაკი ბახტაძეზე ერთი წლის შემდეგ მას პირველი შეეძინა. აქედან მოყოლებული იგი სულ შვილებსა და ოჯახს ემსახურება.

სამი წლის წინათ ბარბალეს ქმარი გარდაეცვალა. მაგრამ იგი არ შემდრკალა. მან სასახელოდ გამოზარდა თავისი შვილები.

ბარბალე ბახტაძე დღეს ბედნიერი დედაა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიენიჭა „გმირი დედის“ სპატიო წოდება და გადაეცა ორდენი „გმირი დედა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

მის სანდომიან სახეზე ბედნიერება იხატება იგი უმაღლეს ხალხთა დიდ ბელადს, საყვარელ სტალინს

ალ. ჭყონია

სამხედრო მსახურთა ოჯახების დახმარების კვირეული

სამშობლოს დამცველთა ოჯახების დასახმარებლად

ბორი, („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან.) წარმატებით მიმდინარეობს სამხედრო მსახურთა ოჯახების დახმარების კვირეული. მშრომელნი ერთსულოვნად აგროგებენ ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, საოჯახო ნივთებს და სხვ.

ქვემო ნიქოზის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეებმა ორი დღეში შეაგროვეს 8 ტონა მარცვლეული, ერთნახევარი ტონა ლობიო, 9 ტონა ბოსტნეული, ნახევარი ტონა კაკალი, 100 ქათამი, 1.000 კვერცხი და სხვ.

ქვემო ხვითის კოლმეურნეობის წევრებმა შეაგროვეს 2.500 კილოგრამი მარცვლეული, 600 კილოგრამი ლობიო, 150 კილოგრამი კაკალი, 30 ქათამი, 3 ტონა ბოსტნეული, 300 კვერცხი და სხვ.

ქვემო ნიქოზის კოლმეურნეობის წევრმა წინო ბუზალაძემ ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში შეიტანა 50 კილოგრამი მარცვლეული, ნახევარი ფუთი ლობიო, 2 ქათამი, ნახევარი ფუთი კაკალი, 100 კილოგრამი ბოსტნეული. ამავე სოფლის კოლმეურნემ ნიკოლოზ მარიამიძემ შეიტანა 30 კილოგრამი მარცვლეული, 2 ქათამი, 100 კილოგრამი ბოსტნეული, ნახევარი ფუთი ლობიო და სხვ. ნიკოლოზ მარიამიძეს ორი შვილი ფრონტზე ჰყავს, თვითონ 63 წლისაა და გამომუშავებული აქვს 300 შრომადღე. ზემო ნიქოზის მცხოვრებმა კოლმეურნემ იასონ მჭედლიძემ შეიტანა 50 კილოგრამი მარცვლეული, ნახევარი ფუთი ლობიო, აგრეთვე ბოსტნეული, ქათამი და სხვ.

ორი დღის განმავლობაში რაიონის კოლმეურნეობებმა ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში შეიტანეს 3.000 ფუთი მარცვლეული, 50 ტონა ბოსტნეული, 3 ტონა ლობიო, 5 ტონა ხილი, 1 ტონა კაკალი, 200 ქათამი, 500 კილოგრამი რძის ნაწარმი და სხვ.

შ. ჩუბინიძე

მშრომელთა ფართო მონაწილეობით

ჭიათურა („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ქალაქ ჭიათურა და ჭიათურის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს სამხედრო მსახურთა ოჯახების დახმარების კვირეული. სოფელ სვერის კოლმეურნეობაში პირველ დღეს შეაგროვეს 447 კილოგრამი პროდუქტები, სოფელ კაცხში—316 კილოგრამი, სოფელ ხვაშითში—300 კილოგრამი. ხუთ ოჯახს შეუკეთეს ბინები და ცხრა ოჯახს მიუტანეს შეშა. კვირეული განსაკუთრებით კარგად მიმდინარეობს რეხვილათის, ნიგოზეთის, ბეინეულის კოლმეურნეობებში.

პ. ჭიოკაძე

გეგმების შესრულება

საგარეჯოს რაიონმა ვადამდე შეასრულა მეცხოველეობის განვითარების წლიური გეგმა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი მოშენებულია გეგმის 100,4 პროცენტი, ცხვარი და თხა—106,5, ღორი—120,7, ფრინველი—100, ფუტკარი—100 პროცენტი. ზამთრისათვის პირუტყვი უზრუნველყოფილია უხეში და კონცენტრირებული საკვებით. მიმდინარეობს ბინების შეკეთება.

საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანი ყურაშვილი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მუჩიაშვილი

* * *

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა საშემოდგომო თესვის გეგმა შეასრულეს 100 პროცენტით, შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა კი—107 პროცენტით. ჭარხლის დამზადება და მზრალად ხვნა წარმატებით გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი ფოფხაძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გელაშვილი

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მსხვილფეხა რქიანი საქონლის მოშენების გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით (მათ შორის ძროხისა და ფურ-კამეჩისა—101 პროცენტით), ხარისა—100, ცხენისა—100,6, თხისა—109,6, ღორისა—110, ახალგაზრდისა—100, ფუტკრისა—100,4, ფრინველისა—100 პროცენტით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი ჩაჩიბაია

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯიბუტია

* * *

საოქტომბრო, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მცხეთის რაიონმა 5 ნოემბრისათვის, 15 დღით ადრე, ვიდრე შართან, 100,4 პროცენტით შეასრულა საშემოდგომო თესვის გეგმა. ხორბალი და ქერი გეგმით გათვალისწინებული 5.600 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 5.621 ჰექტარზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი ქართველიშვილი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მელიქიშვილი

საშემოდგომო თესვა და მზრალად ხვნა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ მიწსაბჭოს 10 ნოემბრის ცნობებით)

რაიონები	თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმის შესრულება პროცენტით	მზრალად ხვნის გეგმის შესრულება პროცენტით	რაიონები	თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმის შესრულება პროცენტით	მზრალად ხვნის გეგმის შესრულება პროცენტით
ქუთაისი	101,7		ქარელი	96,5	76,1
წყალტუბო	102,9		გორი	101,2	68,6
სამტრედია	38,5		კასპი	92,6	34,3
წულუკიძე	25,5		ბორჯომი	87,0	60,2
ვანი	12,0		წალკა	—	51,9
მაიაკოვსკი	22,3		დუშეთი	100,2	27,0
ზესტაფონი	57,2		თეთრი წყაროო	100,0	63,2
ჩხარი	150,0		თიანეთი	100,5	41,0
ჭიათურა	84,1		გურჯაანი	70,2	14,7
საჩხერე	99,9		სიღნაღი	69,2	10,8
ორჯონიკიძე	107,3		წითელწყაროო	77,6	29,8
ონი	100,0		თელავი	85,1	12,2
ამბროლაური	100,0		ყვარელი	84,0	37,4
ცაგერი	74,5		ლაგოდეხი	100,2	40,7
ქვემო სვანეთი	84,0		თბილისი	101,7	75,0
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	89,6	87,3	მცხეთა	100,4	40,2
ახალქალაქი	110,0	81,1	ყარაია	86,1	26,8
ბოგდანოვკა	—	73,0	ბორჩალო	90,4	67,0
ახალციხე	88,9	72,8	ბოლნისი	89,9	19,7
ადიგენი	100,0	96,3	საგარეჯო	85,2	2,8
ასპინძა	104,1	142,1	ბაკურიანი	84,1	13,5
ხაშური	100,0	97,5			

ახალციხისა და გორის რაიონების ცნობები **5** ნოემბრისაა.

დეკეფები

სომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 13 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ შეტევას ნანსი-მეცის რაიონში და წინ წაიწიეს პონტ-ა-მუსონის აღმოსავლეთით. ჯავშანსატანკო და ქვეითი ჯარის ნაწილებმა მიაღწიეს პუნქტს, რომელიც დიეზიდან შვიდ მილზე მდებარეობს. მოკავშირეთა სხვა ნაწილები იმყოფებიან შატო ბრეანში, ბალიანსში და შატო სალენის ჩრდილოეთით. ჯავშანსატანკო ნაწილებმა გადალახეს მდინარე ნიდ ფრანსე და ამჟამად ანრიში იმყოფებიან.

კენიგსმარკერის რაიონში მოკავშირეთა ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფებმა კონტრიერიშის შედეგად აღადგინეს ხაზი, რომელიც წინათ ეკავათ, და გააძლიერეს პოზიციები ახლად დაკავებულ სოფელ სტაგარეზე ჩრდილოეთ-დასავლეთ ზელზე, ტოინვილის ქვემოთ. უფრო სამხრეთით მოკავშირეთა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს წინ სენ-დიეს დასავლეთით და ბრუიერის აღმოსავლეთით.

ლონდონი, 13 ნოემბერი. (საკდესი). სომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში სანაპირო სექტორში მე-8 არმიის ინგლისელთა სატანკო და ქვეითმა ნაწილებმა გადალახეს გიანის არხი რავენის სამხრეთით. ქალაქ ფორლის ჩრდილო-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა ავრეთვე წაიწიეს წინ. მიუხედავად მტრის მეტად ძლიერი წინააღმდეგობისა, დანარჩენ უბნებზე მდგომარეობა უცვლელია.

ვან ძინ-ვეის სიკვდილი

ტოკიო, 12 ნოემბერი. (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობის თანახმად, 10 ნოემბერს ქალაქ ნაგოიაში (იაპონია) მოკვდა ნანკინის „მთავრობის“ მეთაური ვან ძინ-ვეი. ვან ძინ-ვეის ნაცვლად დაინიშნა ჩენ გუნ-ბი.

კიბერელები არგენტინაში მაღავენ ნაძარცვ კაპიტალებს

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკდესი). ოვერსეს ნიუსის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჰიტლერელი მეთაურები კვლავ გზავნიან დიდ თანხებს არგენტინის ბანკებში. იუწყებიან, რომ გებელსმა ბუენოს-აირესის ერთ-ერთ ბანკში, რომელსაც გერმანელები უწევენ კონტროლს, 1.850 ათასი დოლარი გადაგზავნა ამერიკული ვალუტით, ამასთან ეს ანაბარი გებელსმა სხვის სახელზე შეიტანა. რიბენტროპმა დიდი თანხა შეიტანა არგენტინის ბანკში თავისი ნათესავის სახელზე, რომელმაც ამას წინათ 500 ათასი დოლარი მიიღო მისთვის შვეიცარიის ბანკიდან. გერმანიის ფლოტის სარდალმა ადმირალმა დენიცმა არგენტინაში გადაგზავნა დიდი კაპიტალები, რომელთა ზუსტი თანხა გამორკვეული არ არის. ეს ფული დენიცმა შეიტანა თავისი ნათესავის ედმუნდ ვაგენკნეხტის სახელზე, რომელიც არგენტინის ერთ-ერთი უდიდესი საექსპორტო-საიმპორტო ფირმის მფლობელია.

„ფრანკფურტერ ალგემაინ ფოლკსფერფოლგუნგ“ ფრონტის“ ხელმძღვანელმა ლეიმ ამას წინათ არგენტინაში იყიდა დიდი პლანტაციები. ეს ბრიგადა დადებულ იქნა ვინმე ფრანც ბორმანის სახელზე.

სააგენტო იმოწმებს დიდ თანამდებობის მყოფი ერთი არგენტინელი გენერლის განცხადებას და აღნიშნავს, რომ გერმანიის ფონდებმა არგენტინაში ომამდელი კაპიტალდაბანდებისა ჩათვლით ამჟამად 750 მილიონ დოლარამდე მიაღწია. ომის დროს ეს კაპიტალდაბანდებანი გადიდდა. არგენტინაში ესპანეთიდანაც და შვეიცარიიდან გერმანული კაპიტალის შეჭრასთან დაკავშირებით. ჰიტლერელმა მეთაურებმა ხელში ჩაიგდეს მილიონობით დოლარის არგენტინული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ეკუთვნით გერმანელების მიერ ოკუპირებულ ევროპაში ნამყოფ პირთა. ამჟამად ჰიტლერელების მიერ ეს ნაძარცვი ფასიანი ქაღალდები გაგზავნილია შესანახად ზუენოს-აირესში.

შვეიცარიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელის გადადგომა

ლონდონი, 11 ნოემბერი. (საკდესი). აფის სააგენტო იუწყება შვეიცარიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელ პილეგოლაცის გადადგომას და აღნიშნავს, რომ გადწყვეტილება გადადგომის შესახებ „მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც გამოიცხადდა მოსკოვის უარი შვეიცარიასთან ურთიერთობის განახლების თაობაზე“.

ჩერჩილისა და იდენის ყოფნა პარიზში

ლონდონი, 12 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი პარიზიდან გადმოგვცემს, ჩერჩილი, დე გოლი, იდენი და მთელი რიგი მრჩეველები ორი საათის განმავლობაში თათბირობდნენ. ამ თათბირის დროს, როგორც ოფიციალურ კომუნიკეში აღნიშნული, შეეხებულებათა ფართო ვაზიარება მოხდა.

როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, იმ პირთა შორის, რომლებიც პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს ახლავან საფრანგეთში, არიან ავრეთვე საომარი გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი ალან ბრუკი და სამხედრო კაბინეტის მდივნის სამხედრო თანაშემწე გენერალ ისმეი.

რუმინეთის იუსტიციის მინისტრი პატრაშკანუ წმენდის შესახებ

ბუქარესტი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ყველა გაზეთმა გამოქვეყნა იუსტიციის მინისტრ პატრაშკანუს განცხადება. ამ განცხადებაში პატრაშკანუმ აღნიშნა, რომ მისი სამინისტროს მთავარი ამოცანაა სახელმწიფო აპარატის დაუყოვნებლივი წმენდა. წმენდა არ შემოიფარგლება წვრილი მოსამსახურეებით, არამედ გავრცელდება იმ მოსამსახურეებზეც, რომელთაც პასუხსაგები პოსტები უკავიათ. საკმაო საბუთი მოიპოვება, განაცხადა პატრაშკანუმ, რომ ამმორჩნდებიან წმენდის მოწინააღმდეგეები იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, რომლებიც დღეს მხარს უჭერენ დემოკრატიას და იმავე დროს ცდილობენ დაფარონ ჰიტლერული აგენტურა რუმინეთში—ებიც პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს ახლავან საფრანგეთში, ებიც ავრეთვე საომარი გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი ალან ბრუკი და სამხედრო კაბინეტის მდივნის სამხედრო თანაშემწე გენერალ ისმეი.

ფეხბურთი

ოქრი მატჩი

კვირას, 12 ნოემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა ორი მატჩი ფეხბურთში

დღის 1 საათზე მოედანზე გამოვიდნენ მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გაძარჯვებით, ანგარიშით 3:2.

3 საათზე ჩატარდა მოსკოვისა და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდების ფინალური შეხვედრა.

მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით მატჩი ხელახლა შესდგება ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე 15 ნოემბერს.

სემინარი

15 ნოემბერს, დილის 9 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) საქართველო-საფაბრიკო სკოლების მუშაკებისათვის შეხვედება სემინარის მეცადინეობა ქართულ ენაზე.

თემა: **ამხანაგ სტალინის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავზე.**

სემინარს ჩაატარებს ამხ. ო. ტატიშვილი.

კინოებში

14 ნოემბერს: რუსთაველის სახელობის— „ბაღდადელი ქურდი“. **ოქტომბერი** „ჯუნგლი“. **დამკვრელი** — „სამშობლოსათვის“. **კომკავშირელი** — „ზოია“ **ლუქსემბურგის სახელობის** — „წყალქვეშა ნავი ტ-9“. **სპარტაკი** — „მეზღვაურის ქალიშვილი“. **26 კომისრის სახელობის** — „ჩემი სიყვარული“.

ვ. ბარნოვის ხსოვნის საღამო

ოთხშაბათს, 15 ნოემბერს, მწერალთა კლუბში გაიმართება ვასილ ბარნოვის გარდაცვალების 10 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

მოხსენებას „ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები“ წაიკითხავს შ. რადიანი. სტატიებით გამოვლენ: ა. გაწერელია, დ. ბენაშვილი, გ. ლეონიძე, ბ. ეროფეტი, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი და გ. ჯიბლაძე. მოგონებებით გამოვლენ: თ. სახოკია და ს. ბარნაველი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თეატრებში

14 ნოემბერს: ხომხური — „ვარაზდატ“. **სანაულტურის** — „რაისა ტარასოვა“. **მოზარდი მაყურებლის** — ქართული — „წეთელქუდა“, **ომხური** — „ხათაბალა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველო და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი აცხადებენ

ღია კონკურსს ქ. თბილისში ასაგებ კავკასიის დაცვისათვის მებრძოლთა მონუმენტის პროექტის შედგენაზე.

მონუმენტი შეიძლება წარმოადგენდეს როგორც არქიტექტურულ, ისე სკულპტურულ კომპოზიციას.

ნაკვეთი მონუმენტის ასაგებად გამოყოფილია საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანთან.

პროექტების წარმოდგენის ვადა—1945 წ. 20 თებერვალი. უკეთესი პროექტებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

I პრემია 16.000 მანეთი, II პრემია 12.000 მანეთი, III პრემია 8.000 მანეთი, ორი IV პრემია თვითეული 5.000 მანეთი.

კონკურსის პროგრამის მიღება შეიძლება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოში, ბერიას მოედანი № 10, მეორე სართული, ყოველდღე.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსი ძურღიანი

მეუღლე ვასილ ლუკას-ძე დოლაბერიძე შვილებით და შვილიშვილებით იუწყება **სოფიო ყარამანის-ასულ შავდია-დოლაბერიძის** გარდაცვალებას.

დაკარგულია საქართველოს სსრ ჯანსახკომის სამეანო-საფერშლო სკოლის პროფკომის მრგვალი ბეჭედი. **ჩ. გ.**

საქართველოს სსრ ჯანსახკომის სამეცნიერო-კვლევითი სანიტარული ინსტიტუტი იუწყება დოცენტ ვ. კაციტაძის მეუღლის **ნინო ჟღენტი-კაციტაძის** გარდაცვალებას.

დაკარგულია თბილისის ქალთა 26-ე საშუალო სკოლის მრგვალი ბეჭედი. **ჩ. გ.**

პავლე ინგოროყვა ოჯახით იუწყება მამის **იესე გერასიმეს-ძე ინგოროყვას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ფოთში 15/XI.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკული თერაპიული კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის პროფესორ **ნიკოლოზ ივანეს-ძე მახვილაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. მოსკოვის, 11.

მწერლები ს. ჩიქოვანი, ა. აბაშელი, გ. ქიქოძე, კ. გამსახურდია, შ. აფხაიძე, დ. ბენაშვილი, ა. გაწერელია, ლ. ქიაჩელი, გ. ნატროშვილი და ა. ქუთათელი იუწყებიან მწერალ პავლე ინგოროყვას მამის **იესე გერასიმეს-ძე ინგოროყვას** გარდაცვალებას

პოლიკარპე და დარეჯან ზერაგიები იუწყებიან **ეფრო ჯამბურიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 14/XI, 5 ს. მექოთნეთა, 7.

მეუღლე თამარ, შვილები მიხეილ, მანანა იუწყებიან **ნიკო ივანეს-ძე მახვილაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15/XI, 7 ს., გამოსვენება 16/XI, 2 ს. მოსკოვის, 11.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იუწყება, რომ 14/XI, 4 ს. ვაკის სასაფლაოზე, მწერალთა პანთეონში დანიშნ